შრომითი პოლიტიკა ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამაში[1]

- "შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების სფეროში „ქართული ოცნება“ გააგრძელებს მუშაობას სათანადო საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვის მიმართულებებით. პრიორიტეტული იქნება შრომის უსაფრთხოების კუთხით მიღებული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება და შრომის ინსპექციის მანდატის ქმედითი რეალიზაცია.“
- „სახელმწიფო გააგრძელებს საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირებას და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისთვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. საემიგრაციო გარემოს გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ლეგალურ მიგრაციას, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობას, მიგრაციის მართვის გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ზრდას;“
- „დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით, გაძლიერდება შრომის ინსპექციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო;“
- “შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გზით, აქცენტი გაკეთდება დაბალკვალიფიციური კადრების გადამზადებასა და მათი კომპეტენციის განვითარებაზე;”
- “შემდგომი დასაქმების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება შშმ პირების პროფესიული გადამზადებისა და დუალური განათლების პროცესებში ჩართვა. ამასთან, დასაქმების შემთხვევაში, შშმ პირებს შეუნარჩუნდებათ მინიჭებული შემწეობა;”
- “შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის მიზნით, ხელი შეეწყობა ქალთა მონაწილეობის გაზრდას როგორც საკანონმდებლო ინიციატივებით, ისე სხვადასხვა პროგრამების ამოქმედებით;”
- “საქართველო უკვე მომავალ წელს დაუბრუნდება პანდემიამდელ ნიშნულს, ხოლო 2024 წლისთვის ეკონომიკა არანაკლებ 40 პროცენტით ანუ 20 მილიარდით გაიზრდება, რაც ნიშნავს ერთ სულ მოსახლეზე მოსახლეზე დოვლათის დოვლათის არანაკლებ არანაკლებ 5400 ლარით ზრდას, ორასი ათას ახალ სამუშაო სამუშაო ადგილს და მეტ კეთილდღეობას კეთილდღეობას თითოეულ ოჯახში.”
- „განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფილი იმპლემენტაციის მიზნით, მათ შორის, გამოიყოფა დამატებითი რესურსი სოციალური მუშაკების საკმარისი რაოდენობის, მათი კვალიფიკაციის ზრდისა და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;“
- „განხორციელდება შრომის უსაფრთხოების ეფექტიანი მექანიზმები; შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გაგრძელდება შრომითი მედიაციის განვითარება, დაიხვეწება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო; გაძლიერდება და განვითარდება შრომის ინსპექტირების არსებული მექანიზმი; უზრუნველყოფილი იქნება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;“

[1] ქართული ოცნების სრული წინასაარჩევნო პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ: http://188.227.194.162/image/data/programa%202020/ocneba_27.10.pdf

Labour Policies in Georgian Dream's Platform

- "Georgian Dream will continue to work on labor rights and safety in order to refine the relevant legal framework and ensure enforcement of these standards in practice. Priority will be given to the effective implementation of the regulations adopted in the field of labor safety and ensuring the effective work of the labor inspection. "
- "The state will continue to regulate international labor migration and refine legislation for intergovernmental cooperation. Improving the immigration environment will ensure legal migration, facilitate the reintegration of returned migrants, improve migration management, and increase public awareness;"
- "In order to protect the rights of employees, the legislative and institutional framework of the Labor Inspection will be strengthened;"
- "Focus will be given to training of qualified staff and developing their competencies, by accessibility of relevant educational programs;"
- "To ensure gender equality in the labor market, women's participation will be increased through legislative initiatives and the implementation of various programs;"
- "Georgia will return to the pre-pandemic level next year, and by 2024 the economy will grow by at least 40 percent or 20 billion, which means an increase in per capita wealth of at least 5,400 GEL, 200,000 new jobs and more prosperity for each family."
- "Relevant measures will be taken for the full implementation of the Law of Georgia on Social Work, including the allocation of additional resources to ensure a sufficient number of social workers, increasing their qualifications and appropriate remuneration;"
- "Effective labor safety mechanisms will be implemented; In order to ensure the protection of labor rights, the development of labor mediation will continue, the relevant legislative framework will be improved; the existing labor inspection mechanism will be strengthened and developed; compensation will be provided for employees whose health has been damaged during the performance of labor duties."